ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N G-33/22

ქ. მცხეთა **29 აპრილი, 2022 წელი**

ერთი მხრივ: **სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“** (შემდგომ - შემსყიდველი)
წარმოდგენილი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, **ნინო ჩიქოვანის** სახით,
საიდენტიფიკაციო კოდი: **203 831 363**
მისამართი: **ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5**
მიმღები: **სახელმწიფო ხაზინა**
ბანკის კოდი: **TRESGE22**
სახაზინო კოდი: **707807132**

მეორე მხრივ: **შპს „ახალი ნათება“** (შემდგომ - მიმწოდებელი)
წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის, **თემურ არდოტელის** სახით,
საიდენტიფიკაციო კოდი: **202066156**
მისამართი: **ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #18, ბ.4**
ბანკის დასახელება: **სს „პროკრედიტ ბანკი"**
ბანკის კოდი: **MIBGGE22**
IBAN: **GE74PC0053600100013179**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „$ს^1$“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის;
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, მცხეთისა და თბილისის ოფისისთვის საჭირო ნათურების შესყიდვა:
- **CPV კოდი: 31531000 - ნათურები;**
- **CPV კოდი: 31524120 - ჭერის სანათი;**
- **CPV კოდი: 31532600 - ლამპის რეაქტორები.**

2.2. შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა და აღწერილობა განისაზღვრება **დანართი N1-ის** (ფასების ცხრილის) შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - **2425.95 (ორი ათას ოთხას ოცდახუთი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარს**;
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს **(დღგ-ის გათვალისწინებით);**
3.3. შესყიდვის ობიექტის ერთეულის და საერთო ფასები მოცემულია ხელშეკრულების **დანართში - N1** (ფასების ცხრილი).

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;**
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: **ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N5.**

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთიანი უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში – ლარში, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;
5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;
5.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება;
5.4. დაფინანსების წყარო: **სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტის“ 2022 წლის საკუთარი შემოსავლები.**

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს/ახორციელებენ **სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტის“ ადმინისტრაციული დეპარტამენტის ლოგისტიკის სამმართველოს წარმომადგენელი/წარმომადგენლები;**
6.2. შემსყიდველი უფლებამოსილია აწარმოოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. შემსყიდველს უფლება აქვს ჩართოს ინსპექტირების პროცესში სხვა პირები, რომელთა ჩართვასაც ის ჩათვლის მიზანშეწონილად.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით;

7.2. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია **სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტის“ ადმინისტრაციული დეპარტამენტის ლოგისტიკის სამმართველოს წარმომადგენელი/წარმომადგენლები;**

7.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

8. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

8.1 მიმწოდებლის უფლებები და ვალდებულებები

8.1.1 მიმწოდებლის უფლებები:

8.1.1.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.1.2 მიმწოდებლის ვალდებულებები:

8.1.2.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

8.1.2.2 ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებისას და უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, ასეთი წუნის აღმოჩენის შესახებ წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;

8.2 შემსყიდველის უფლებები და ვალდებულებები

8.2.1 შემსყიდველის უფლებები:

8.2.1.1 შემსყიდველს უფლება აქვს აწარმოოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის კონტროლი;

8.2.1.2 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს მოსთხოვოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2.2 შემსყიდველის ვალდებულებები:

8.2.2.1 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს შესაძლოა დაეკისროთ პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 8.1.2.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

9.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცილებისთვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.5. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეუსრულებელია, შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

9.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;

9.7. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა გაქვითოს მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესაბამისად გადასარიცხი თანხიდან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში ხორციელდება მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით;

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით;

10.4. თუ მხარე ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარისთვის წერილობითი შეტყობინებით;

10.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმებით, წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში;

11. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა

11.1. მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი);

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება

გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

11.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ (24 საათში) წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან;

11.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

12. საგარანტიო პირობები და ვადები

12.1. მიწოდებულ საქონელზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან არანაკლებ 1 (ერთი) წლის ვადით;

12.2. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი და არ უნდა ავლენდეს ხარვეზებს. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, შემსყიდველის მხრიდან ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, დეფექტის ან ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია გამოვლენილი დეფექტი გამოასწოროს არაუმეტეს დეფექტის არსებობის შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დანახარჯის გაწევის გარეშე;

12.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 12.2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დეფექტები და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების სრულად ანაზღაურება.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულება დადებულია და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

13.2 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით;

13.3 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს.

14 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან. ხელშეკრულების მე-9 მუხლი მოქმედებს ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე, საგარანტიო ნაწილში ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად, ხოლო ყველა სხვა ნაწილში ხელშეკრულება მოქმედებს **<u>2022 წლის 31 ივლისის ჩათვლით.</u>**

ხელმოწერილია:

მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

ვიზირებულია:

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტის“ საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მიერ.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტის“ იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მიერ.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტის“ საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოს უფროსის მიერ.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტის“ საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მიერ.

შემსყიდველი:

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“

ნინო ჩიქოვანი

მიმწოდებელი:

შპს „ახალი ნათება“

New Light LLC

Digitally signed by New Light LLC
Date: 2022.04.29 18:23:52 +04'00'

თემურ არდოტელი

ფასების ცხრილი

N	CPV კოდი	დასახელება	ტექნიკური აღწერილობა	წარმოშობის წყარო, მწარმოებელი, მოდელი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი დღგ-ის ჩათვლით	საერთო ფასი დღგ-ის ჩათვლით
1	31531000	**ნათურა**	სიმძლავრე: **5W** ნათურის ტიპი: **GU 10** განათების ფერი: **3000K** ძაბვა: **230V**	ჩინეთი, OSRAM, 4058075689510	ცალი	20	4.95	99
2		**ჰალოგენ ნათურა**	სიმძლავრე: **20W** ნათურის ტიპი: **GU 4** განათების ფერი: **2800K** ძაბვა: **12V**	ჩინეთი, OSRAM, 4050300346168	ცალი	10	7.65	76.5
3		**ჰალოგენ კაფსულა**	სიმძლავრე: **20W** ნათურის ტიპი: **G4 - გამჭვირვალე** განათების ფერი: **2800K** ძაბვა: **12V**	ჩინეთი, OSRAM, 4050300003924	ცალი	10	2.07	20.7
4		**ნათურა**	სიმძლავრე: **6.5-75W** ნათურის ტიპი: **E27** განათების ფერი: **2700K** ძაბვა: **220-240V**	ჩინეთი, PHILIPS, 8718696816776 (4276)	ცალი	15	6.75	101.25
5		**გარე განათების მეტალოჰალოგენი ნათურა**	სიმძლავრე: **70W** ნათურის ტიპი: **E27** განათების ფერი: **3200K**	ჩინეთი, PHILIPS, 8711500192677	ცალი	5	24.3	121.5
6		**ლუმინესცენტური ნათურა**	სიმძლავრე: **18W** ნათურის ტიპი: **T8** განათების ფერი: **6200K** ძაბვა: **220-240V** ზომა: **60სმ**	პოლონეთი, PHILIPS, 8727900815788	ცალი	200	2.25	450
7	**31524120**	**შეკიდული ჭერის ლედ პანელური სანათი**	სიმძლავრე: **12W** სანათის ტიპი: **კვადრატული** განათების ფერი: **6500K** ზომა: **174X174**	ჩინეთი, XG008 12W SQUARE, F207	ცალი	10	19.8	198

8		**შეკიდული ჭერის ლედ პანელური სანათი**	სიმძლავრე: **18W** სანათის ტიპი: **კვადრატული** განათების ფერი: **6500K** ზომა: **225X225**	ჩინეთი, XG012 18W SQUARE, LED PANEL /P242/	ცალი	10	27	270
9		**შეკიდული ჭერის ლედ პანელური სანათი**	სიმძლავრე: **18W** სანათის ტიპი: **მრგვალი** განათების ფერი: **6500K** დიამეტრი: **225მმ**	ჩინეთი, XG011 18W ROUND, LED PANEL /F204-F205/	ცალი	15	27	405
10	**31532600**	**LED დროსელი შეკიდული ჭერის სანათისთვის**	სიმძლავრე: **8-25W**	ესპანეთი, 9918262 LC, 125/500-A-UN, 110-277V ELT	ცალი	20	34.2	684

<u>საერთო ფასი დღგ-ის ჩათვლით: 2425.95 ლარი</u>

შემსყიდველი:

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“

ნინო ჩიქოვანი

მიმწოდებელი:

შპს „ახალი ნათება“

თემურ არდოტელი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. მცხეთა **29 აპრილი, 2022 წელი**

ჩვენ, წინამდებარე დოკუმენტზე ხელმომწერი პირები ვადასტურებთ, რომ **შპს „ახალი ნათების“ (ს/კ 202066156)** მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

ნინო ჩიქოვანი
სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი - „საქპატენტის“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ივანე ჯოხაძე
სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი - „საქპატენტის“ საფინანსო-ეკონომიკური
დეპარტამენტის უფროსი

ილია რევაზიშვილი
სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი - „საქპატენტის“ საფინანსო-ეკონომიკური
დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოს უფროსი

თეონა როსტომაშვილი
სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი - „საქპატენტის“ საფინანსო-ეკონომიკური
დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი